ვისაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, დაე, თქვას კარგი სიტყვა ან გაჩუმდეს

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვისაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, დაე, თქვას კარგი სიტყვა ან გაჩუმდეს, ვისაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, დაე, პატივი სცეს მეზობელს, ვისაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, დაე, პატივი სცემს მის სტუმარს».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მუსლიმი მონის რწმენა, რომელსაც სწამს ალლაჰის და ბოლო დღის, სადაც ის დაბრუნდება და მიეზღვება მისი საქმეების შესაბამისად, მოუწოდებს მას შემდეგი კეთილი სამქეების კეთებისკენ: პირველი: კეთილი სიტყვა. ამაში შედის თასბიჰ(სუბჰანალლაჰ), თაჰლილ(ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ), სიკეთისკენ მოწოდება, აუგის აკრძალვა და ხალხის შერიგება. ვისაც არ შეუძლია ამის კეთება, მაშინ გაჩუმდეს, არ ავნოს და ენას კბილი დააჭიროს. მეორე: მეზობლის პატივისცემა. მასთან კარგი ურთიერთობა და ზიანის არ მიყენება. მესამე: შენთან მოსული სტუმრის პატივისცემა. კარგი საუბრით, საკვებით და ა.შ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5437

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee